პარლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1984 წ.
№ 247 (7808) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲬᲐᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲔᲗ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲡᲐᲓᲐᲜ

მალხაზ ბერუაშვილი

ეს ერთი ამთავანია, ვისთვისაც ბუნებამ არაფერი დაიშურა და ამბობსაც არის, რომ არა ერთი და ორი სახასიათო ვარჯიშების მოუხელთებელ, ძნელად თავუანებებელ მიმზიდველობა მისგან უფრო დიდ გამარჯვებებს ელის. ეხვეწ არ იყოს, გვარი და ჯილდო აჭეს ისეთი, ყველაზე მაღალი მწვერვალებისკენ უნდა ეკიპრის თვალი, ევროპისა და მსოფლიოს პირველი ხოკეისტის სახელზე ხაკეთებს არ უნდა დაეაბუნდეს.

ᲤᲚᲔᲘᲐᲜᲔᲚᲘ სეზონი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებით — თბილისის საერთაშორისო ტურნირით დაიწყო.

...სამი წლის შემდეგ 95 კილოგრამამ წონით კატეგორიას "ოქროს" მაძიებელთა ერთობ შთამბეჭდავი კვარტეტი შემორჩა: ევროპის ჩემპიონი რიგე ვაშინი, მსოფლიო ჩემპიონობის ვერცხლის პრიზიორი ვალერი დივისენკო, ოლიმპიური ჩემპიონი რობერ ვან დე ვალე და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი. სხვათა შორის, მალხაზის სამივე მეტოქე ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ნაბედვარფინალში იბრძოდა. ბერუაშვილი — ვაშინი, დივისენკო — ვან დე ვალე.

„ვაშინთან არ მიჯდეგია. მარცხენა მხარეს ჭიდაობს. არ უნდა მივცე საშუალება, მარცხენით იმუშაოს".

ვინ ამუშავა ფრანგი! იმ ორიოდ წუთში, რაც ევროპის ჩემპიონმა ტატამზე დაყო, მარცხენათი კიმონოს ხელიანად აღებაც ვერ მოასწრო. მალხაზის პირველი გდება „კოკათი" შეაფასეს არბიტრებმა, სულ ცოტა ხნის შემდეგ კი წმინდად დამარცხებული ფრანგი ძიუდოისტი უხმოდ დებოდა ტატამიან — „იპონი"!

ფინალში ბერუაშვილს მეორე წყვილში გამარჯვებული თვით ოლიმპიური ჩემპიონი, ბელგიელი ვან დე ვალე უცდებდა.

„რობერთან ერთი შეხვედრა წაგებული მაქვს. მწვრილებად მახსოვს როგორ და რატომ".

სპორტსმენის მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილსაც უკვე დაწყობილი ჰქონდა გეგმები.

დივისენკოსთან იოლი გამარჯვების შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი ნამდვილად არ ელოდა ასეთ დასაწყისს. ილეთების ფეიერვერკმა ვან დე ვალე, ცოტა არ იყოს, დააბნია. ბერუაშვილმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მეტოქეს, ისე „მოაგროვა" რამდენიმე „ეკკა" და „იუკო". ბელგიელს ერთი გამოსავალღა რჩებოდა — შეცდომაზე დაეჭირა ქართველი ძიუდოისტი. ამაში ვან დე ვალეს სწორი ნაბედნიერად არ მოეპოვება. აქ, ამ გარეგნულად თითქოს წყნარ, მაგრამ ეროვნ სახიფათო ვითარებაში მალხაზმა საოცარი ტაქტიკური ალღო გამოავლინა — ისე დამთავრდა ეს საინტერესო ორთაბრძოლა, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერთი ილეთის გაკეთებაც ვერ მოახერხა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოპქვა.

მალხაზ ბერუაშვილს, ჩემპიონის წოდების მოპოვების გარდა, სხვა „სამეც" ჰქონდა: პირადი ურთიერთობა უნდა გაერკვია ვალერი დივისენკოსთან, რომელიც ნარკების მწვრთნელებმა რატომღაც არჩიეს ქართველ ფალავანს და ქვეყნის ღირსების დაცვა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზეც მასვე მიანდეს. მართალია, მალხაზმა ვერ ვისწყო თბილისის ტურნირზე უკან მოტოვება, მაგრამ ისე, რომ ტატამზე არ შეხვედრია.

ფინალამდე ორიგი მეტოქე სულ დასხვაბარდა მივიდა — ბერუაშვილმა იოლად მოიგო შვეიცარიაში, დივისენკოს კი, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. ნახევარფინალურ ბრძოლაში კობა კუტატელაძესთან მას ტატამზე უფრო უშვილა, ტექნიკური შეფასება ვერც ერთმა მეტოქემ ვერ დაიმსახურა. მსაჯების აზრით, უფრო აქტიური ისოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იყო. ფინალში ბერუაშვილი — დივისენკო. აქ არბიტრების სიმპათიებმდე საქმე ალარ მისულა. მე-3 წუთზე ბრძოლა უნდა შეწყვეტილიყო კიდეც — მალხაზმა გარეკორით ისე ეფექტურად დასცა მეტოქე ძირს, რომ უეცრად იმსახურებდა „იპონს", მაგრამ ეს ლამაზი გდება მხოლოდ „ვაზარით" აღინიშნა. ამის შემდეგ ბერუაშვილმა კიდევ ორ ფანდზე „დაეჭირა" მეტოქე... გამარჯვება ერთობ შთამბეჭდავი იყო!

სპორტული სეზონი მალხაზ ბერუაშვილმა ისე დასრულა, როგორც ქარიველ მოჭიდავეს შეშვენის — საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში.

ასე დაიწყო ამ ნიჭიერი სპორტსმენის სპორტული ცხოვრების გზა და ალბათ ასეც უნდა გაგრძელდეს. ქართულჩოხიანი ბუნდაუღებელი ფალავანთა ფალავანი კიმონოიან ფალავანთა შორისაც ფალავანი უნდა გახდეს.

ირაკლი ბერიაშვილი.

შეხვედრა ჭადრაკის დედოფალთან

ᲕᲣᲨᲕᲔᲑ, თბილისის ზაჰარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა შეხვედრა სამჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონთან, ხუთკაციან ოლიმპიადების ოთხჯერ გამარჯვებულთან, საერთაშორისო დიდოსტატთან, საერთო დამსახურებულ ოსტატ მაია ჩიბურდანიძესთან.

ჭადრაკის დედოფალს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს ჭადრაკშორის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვაჟა ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რამაზ გუდელაძე, სოციალისტური შრომის გმირები ბორის ვაშაკიძე და გივი წითლიძე, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, სხრ კავშირის ხახალო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე, დიდოსტატი ნანა ალექსანდრია.

მოცულ სალაშის დარბაზში ყელრა ხალხური და კლასიკური მუსიკა. კონცერტში მონაწილეობდნენ ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენებმა — სამოთხთხელმაურემ ნატო გეგუჩაძემ, მრბოლელმა ლეონ შერვაშიძემ და მხტომელმა ვალერი იარემოვმა ხაზეიმო ვითარებაში აღმართეს ასპარეზობის ალამი — ზამთრის სპორტული სეზონი ბაკურიანში ოფიციალურად გაიხსნა.

ზამთრის სეზონი გაიხსნა

დღეს ვაჟები 20 კილომეტრზე ცდიან ძალებს, ქალები — 10 კმ-ზე. პროგრამაშია ბგრეიგი რბოლა 12 კმ-ზე იუნიორთათვის და ამასთანავე ბრძნები 4X100 და 3X5. დღესვე ასპარეზობაში ჩაებმებიან სამთო-მთიხლიაშორენი. ისინი „ქობრა — 1-ზე" გეგანტურ და სპეციალურ სლალომში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. 28 და 29 დეკემბერს კი ბაკურიანის 40 და 70-მეტრიან ტრამპლინებზე მფრინავ-მთიხლიაშორეთა შეჯიბრება გაიმართება.

ოთარ ნოზაძე,
(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები, მსაჯები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მწვრთნელთა საბჭოს წინადადებით დაამტკიცა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელი 1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ᲛᲔᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ: მიხეილ ბიბოკოვი („ზენიტი"), რინატ დასაევი („სპარტაკი"), სერგეი კრაკოვსკი („დინამო").

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲔᲪᲐᲛᲚᲔᲔᲑᲘ: თენგიზ სულაკველიძე („დინამო", თბილისი), ვლადიმერ სიმონოვი („სპარტაკი"), ნიკოლაი ლარიონოვი („ზენიტი");

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲚᲔᲔᲑᲘ: ალექსანდრე ჩივაძე („დინამო", თბილისი), სერგეი ბოროზოვი („დინამო", მინსკი), ალექსანდრ ბუბნოვი („სპარტაკი") აგრეთვე სერგეი ბალტახი („დინამო", კიევი), გენადი მოროზოვი („სპარტაკი"), ალექსეი სტეპანოვი („ზენიტი"); **ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲔᲑᲘ:** სერგეი შაგლო („სპარტაკი"), ანდრეი ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), ვიქტორ კუზნეცოვი („დინამო").

ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲖᲨᲔᲚᲔᲑᲘ: **ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲨᲣᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲗᲝᲛᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ:** სერგეი გოცმანოვი („დინამო", მინსკი), ვალერი ბროშინი („ზენიტი"), ფიოდორ ჩერენკოვი („სპარტაკი"); **ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲠᲨᲔᲒᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘ:** გენადი ლიტოვჩენკო („დნეპრი"), სერგეი ალეინიკოვი („დინამო", მინსკი), იური ქილუდკოვი („ზენიტი"); **ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲠᲨᲔᲒᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘ:** სერგეი შაგლო („სპარტაკი"), ანდრეი ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), ვიქტორ კუზნეცოვი („დნეპრი").

ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲖᲨᲔᲚᲔᲑᲘ: **ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲠᲝᲖᲐ:** ოლეგ პრტასოვი („დნეპრი"), ვიქტორ გრაჩოვი („მაბტორი"), ალექსანდრე ვორობიოვი (ასკ, როსტოვი); **ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲖᲨᲔᲚᲔᲑᲘ:** იური გაგილოვი („სპარტაკი"), სერგეი ანდრეევი (ასკ, როსტოვი), ევსტაფი ფეხლერეანდი („ჭაიკათი"); **ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲠᲗᲝᲡ:** — სერგეი როდიონინი („სპარტაკი"), ოლეგ ბლოხინი („დინამო", კიევი), ვლადიმერ კლიმენტიევი („ზენიტი").

● ● ●

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა საკითხი მსაჯთა კოლეგიის მიერ 1984 წლის შედეგების მიხედვით წარდგენილი ქვეყნის საუკეთესო არბიტრების სია.

პირველი ათეული ასე გამოიყურება: ვლადიმერ მუტინკო, ალექსანდრე მუშკოვეცი (ორიგე—მოსკოვი), რომან ოუჯა (ვილნიუსი), იური საგინეკო (მოსკოვი), **ანატოლი მილჩენკო** (სოხუმი), ვალიდიმერ ფუკი (მინსკი), ანატოლი სპირინი (მოსკოვი), ანატოლი ხოხროკოვი (ოშკენ-ოლა), მიხაილ მურტინიი (ერევანი), მიხაილ სტუპაკი (ივანოვო-ფრანკოვსკი).

ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ — ᲯᲐᲮᲣᲙᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲡᲐᲠᲙᲝᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲝᲑᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲨᲠᲛᲝᲗᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲠᲙᲝᲛᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ 1967 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲛᲝᲑᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲡ ᲛᲝᲫᲦᲔᲕᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲪ ᲗᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲧᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მაინც რა გეჩვენა ასპარეზობად? ამ და ჭაბუკთა პირველი ორი შეჯიბრების შედეგებისათვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი იყო „შრომითი რეზერვების“ სპორტკომპლექსში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპეციალისტთა საგაზეთო თათბირზე.

გაგაცნობთ ამ თათბირზე გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას.

— მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ განვლილი ორი თვის მანძილზე სპორტსმენთა მომზადების დონე არ ამაღლებულა,— მაღონა კილაძემ. მას ხუთი წელია ვეპარიშეის ჯუდჩერ ლაშა, მაგრამ ასეთ დიდ წარმატებას გოგონამ პირველად მიაღწია; მეორე ადგილზე გავიდა მაია გოძელაშვილი, მესამეზე — ირმა ჭურგულიძე (ყველა — თბილისი). ამავე სახეობაში ცხრა ბიჭიდან სულ ტოლში ბრძოლა მხოლოდ ექვსმა გაარძელა. მსაჯთა გადაწყვეტილებით, არასპორტული საქციელის გამო სამი მონაწილე შეჯიბრებიდან მოიხსნა. აქ პირველობა არავის დაუთმო თბილისის 154-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ჯონდო მარიდაშვილმა.

— ჯონდო მხოლოდ სამი წელია აკრობატიკაში ვარჯიშობს, — თქვა მისმა მწვრთნელმა ა. თედეევმა. — თავდაპირველად ჩვენ მას ოთხეულში გამოსასვლელად ვამზადებდით, მაგრამ შევამჩნიეთ, რომ ბტრომებისადმი იჩენდა მიდრეკილებას და სახეობა შევუცვალეთ. როგორც გამოირკვა, არც შეემცდარვართ.

ამ სახეობაში მეორე ადგილი წელად ხვდა თბილისელ როლანდ მეტრეველს, რუსთველი ზაჭარია აბრამშვილი მესამე იყო. —

ქალთა წყვილებში თბილისელებმა ირმა აზარიაშვილმა და ლელა გრიგალაშვილმა, თამილა მორბედაძემ და ირმა ციმაკურიძემ შესაბამისად II-III ადგილები დაიკავეს. ამ ყველას ჯობა ამჟამად რუსთაველებში სატყეოსნო წყვილმა ბათუმელი სპორტსმენების ნატალია ეტლიშვილსა და მზია კოსტავას შემადგენლობით. სპორტული აკრობატიკის დიდი ენთუზიასტის ნელი ოფციის აღზრდილმა ამ სპორტსმენებმა სპეციალისტები და მაყურებლები მოიხიბლეს ორიგინალური კომპოზიციით, უმეცელო სიმსუბუქითა და ოსტატობით შესრულებული ურთულესი ელემენტებით.

— გულმოდგინედ ვემზადებით ახალი სეზონისთვის, მაზარებს ის, რომ ახლახან, ერევანში, სომხეთის ღია ჩემპიონატზე ნატაშამ და მზიამ დამპყრობლად სძლიეს სპარტაკიადის ჩემპიონებს და დამტკიცეს თავიანთი უპირატესობა, — თქვა ნ. ოფაქიძემ, — მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გავაცხადო, რომ შომპეკ თამაშებში გოგონები მხოლოდ უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლებენ. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ბათუმში საკარჯიშო პირობები არ არის. ჩვენი აღსაზრდელები ძირითადად შეკრებებზე და შეჯიბრებებზე ვეწვენ ოსტატობას. ეს ხელს უშლის მათ სტაბილური შედეგების ჩვენებაში.

ბათუმელმა სპორტსმენებმა, დებმა ჭაბერა და ლანა ფშანავებმა, დალი ბერიძემ ჯერ კიდევ შარშან, რუსუდანელური თასის გათამაშებაში მიიქციეს ყურადღება, როცა მესამე ადგილი დაიკავეს. სპარტაკიადის წინ გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ერთი საფეხურით მაღლა ანაცვლეს. დ. ია, ამჯერად პირველი ადგილი — შედეგი, რომელსაც მათ ხუთი წლის სისტემატური ვარჯიშით მიაღწიეს. მეორე ადგილზე გვიდნენ ნინო ხიჯაკაძე, მაია გვრიტიშვილი და მედეა ოთთლაძე, მესამე შედეგი აჩვენეს ნინო ალავიძმ, მაია მელაძვილმა და თეონა ხორხელმა (ორივე ტრიო — თბილისი).

— რესპუბლიკაში დღევანდლამდე ერთადერთ ძალისმიერ წყვილს — ქუთაისელ იოსებ თუთბერიძესა და მალხაზ ბერეჟიანაშვილს (მწვრთნელები ტ. ბაბალაშვილი და დ. გაგოშელი) კონკურენციები გამოუჩნდნენ თბილისელ წყვილებს. ზაზა ნინუასა და ზვიად კვაჭანტირაძეებთან. მართალია, ამ სპორტსმენებს ჯერ კიდევ დიდი გარჯა მართებთ, მაგრამ თავისთავად მათი გამოჩენა დიდ სარბიელზე წინსვლად უნდა მივიჩნიოთ.

ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშებში სულ ოთხი კვარტეტი მონაწილეობდა და ისიც სულერთ მომზადებული. მოუბედავად ამისა, ერთმანეთთან შეჯიბრებაში უკეთესთა შერჩევა მაინც შეძლებოდა. პირველი ადგილი ხვდათ ბ. ბუზიაშვილის ალბრდებულს, თბილისელებს თამაზ მღებრიშვილს, რამაზ ბუზიაშვილს, აკაკი სამუშიასა და ჩიორ სომხიშვილს. მეორე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი აკრობატები ვახტანგ კახიძე, მერაბ კილასონია, ჯაბა ლომთათიძე და ზაზა კაჭკაშვილი, ხოლო მესამეზე — თბილისელები: ზაზა ჯაბაშილი, ზურაბ ვალეიკი, ალექსანდრე კოსტაპოვი და რომან სომხიშვილი.

შეიძლებოდა ამით დაგვემთავრებინა შეჯიბრების ანგარიში, მაგრამ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთი შეხედვით თითქოს წვრილმან, მაგრამ არსებით ხარვეზებზე. ჩვენ არ გვახსენებია საპატო ყვავილებები, ან როგორ შეიძლებოდა გვეხსენებინა, როცა შეჯიბრების ორგანიზატორებს არც უზრუნიათ სპორტული შეჯიბრების ამ აუცილებელ ელემენტზე, გარდა ამისა, სუვენირებზე ლაპარაკი ვამბობთ, პრიზიორებისთვის მედლებიც კი არ გადაუციათ. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ რესპუბლიკური პირველობა იყო.

ᲐᲚᲐ ᲩᲔᲜᲔᲛ.



წლის ბოლო შეჯიბრება

გაიმართა ბუდაურში ამ დღეებში. ეს იყო თბილისის სპორტობილების თაოსნობით გამართული ღია პირველობა სამოცხაიბილმერი სპორტში. ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ბავშვთა და მოზარდთა ზამთრის სახეობათა სკოლისა და მესტიის ნორჩი მოთხილამურეები — სულ 62 სპორტსმენი. სამწუხაროდ, არ გამოცხადდა ბაყურიანის ძლიერი გუნდი, რომლის მონაწილეობა უდავოდ შეეძინდა ბუდაურის შეჯიბრებას.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსმენები, რომელთა ასაკიც ძირითადად ჯუნიორთა ჯგუფის ფარგლებს მიჰყვა გოოგი ჭეჭიაქვა:

— გუდაურის ოთხდღიანი სტარტები საკმაოდ სანტერესოდ ჩატარდა. მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად იასპარეზა, განსაკუთრებით ქმაყოფილი ვართ ლელა ზერაკიძისა და გოოგი ბაზარაძის გამოსვლით.

გარდა ამ ორი ჩემპიონისა, გუდაურის სტარტებმა წარმოაჩინა გურამ ასათიანი, მალხაზ უდესიანი, ნატო გეგეჭკორი. ეგა უშხვარი, რომლებიც თავიანთი სპორტსკოლის ფერებში მალე რამდენიმე ნიჭიერ მოთხილამურესთან ერთად დაიცავენ ზამთრის ახალი სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ფესტივალში (ბაყურიანი, 24-28 დეკემბერი) გაუჭი „მოლოდინ გუნებაში“ ტრადიციულ პრიზებზე. ამას მოჰყვება თბილისის 1985 წლის ღია პირველობა ბაყურიანში (15-19 იანვარი), ჭაბუკთა რესპუბლიკური ზამთრის სპორტული თამაშები (11-16 თებერვალი, ბაკურიანი) და ჭაბუკთა საკავშირო თამაშები (მარტი, კიროვსკი). დასასრულს სპორტკომპლექტების გადაწყვეტილებით, ასეთი შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში ყოველწლიურად ჩატარდება.

ოთარ ოთარაშვილი.
(„ლელას“ ᲗᲔᲡᲘ. კორ.).

გუდაური.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ი: ამხილეტური ჩემპიონება გოოგი ბაზარაძე და ლელა ზერაკიძე.
გიორგი გურაბანიძის ფოტო.

ᲡᲬᲠᲐᲤᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ

თქვა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა მიხეილ გეგეჭკორმა. — ალბათ მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა გადაწყვიტეს „დავსვენთ“. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრი მონაწილე თითქმის მოემზადებელი გამოვიდა სასპარეზოდ? არადა, პროგრამა დღითი დღე რთულდება. ჭაბუკთა თამაშებზე, რომელიც კარზეა მომდგარი, სპორტსმენებმა უნდა იასპარეზონ არა ოთხეულში, არამედ ექვსეულში — პროგრამას ემატება ერთი კომბინირებული და ერთი ფინალური ვარჯიში. სავირთო აქედანვე მთელი სერიოზულობით მოეკიდონო მომავალი ფურუშობის მხადებას.

— დიახ, ამ შეჯიბრებაზე სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგები დამშვიდების უფლებას არ იძლევა, — თქვა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, საავმწირო კატეგორიის მსაჯმა ბაატა მიქიაშვილმა. — დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არც ერთ ქალაქს არ გამოუყვანია შერეული წყვილი. მართალია, სამეულების რაოდენობა საკმარისი იყო (თბილისიდან — 4, რუსთავიდან — 2, ბათუმიდან და ქუთაისიდან — თითო), მაგრამ მათი მომზადების დონე ვერ პასუხობს საკავშირო მოთხოვნებს. სუსტი მომზადება გამოაელინეს ჯაფთა ჯგუფური ვარჯიშების მონაწილეებმა. სარბიელზე არ გამოსულან „შრომითი რეზერვების“ (მწვრთნელი ი. სლეკოვი) და ასკ-ის (ა. მაღრანელოვი) ოთხეულები — ჭაბუკთა თამაშებში მონაწილეობის უდავო პრეტენდენტები. ერთი სიტყვით, სპარტაკიადის შემდეგ სარბიელზე სპორტსმენთა პირველმა გამოსვლამ ვერაფრით გაგვახარა, მაგრამ მაინ ჯერ კიდევ ბევრი შეჯიბრება ელით. გვჯერა, რომ საქართველოს აკრობატები თავს არ შეირცხვენენ.

ახლა დავუბრუნდეთ რესპუბლიკურ პირად პირველობას.

დაბადებიდან გამორჩეულად შეჯიბრება სახტომ სექტორში. გოგონათა შორის ყველას ჯობა თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა მონიშველიმ, 12 წლის უნდა იყოს“, რომელიც მიმდინარე წელს 18 დეკემბერს გახდება „ლელას“ ფურცლებზე.

გაზეთში წინა ალაზე წამოწეული იყო საკითხი იმის შესაძლებლობის შესწავლისა და შესწავლილების ხასიათზე მეშვეობით გასაღების თამაშზე (ცხადი, „უნდა თვის წელ შეიძლებაო მიიღებს). ეს სწორი პოზიციაა, რაკი თვით ამ ხნის ხელმძღვანელებს არ აძლევენ ამის უფლებას, მაგრამ სახლმძღვანელებში ვარჯიშებით წინააღმდეგობებს ვარჯიშით ვერაფერი ვერაფერის პრაქტიკა, ისე როგორც ბავშვთა კვეშინის ბევრ ქალაქში ბედნა, ჩვენთან ჯერ არ დაწერილა. ბაზების სრული დატვირთვით გამოუენება, თავისუფალ დროს საათრგნებელი ჯგუფების გახსნა მოსახერხებელ ხანდ უფრად შემოსავლიც გაზრდება. ეს საკითხი საყურადღებო პირველ ყოველა ამ ამიტომ, რომ მოსახერხებელი ფარო ფენების საშუალება მიეცემათ ამეცადინონ გამჯანსაღებელ ჯგუფებში, სპორტულ ბაზებს მოყვნენ შენახვის, თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების დამატებითი ხასიათები გაუჩნდებათ.

ჩვენს რაიონში უკვე შეიქმნა ფიზკულტურულ-სპორტული კომპლექსი, რომელიც ერთ სახურებში ერთიანებს ყველა სპორტულ და კულტურულ დანიშნულებას. ამიდე ჯაკენ ქალაქის განათლების სამმართველო მხარში ამოგვიდგება და დიდმა მხადებ საუცხო კომპლექსიც შეუერთდება იმ ობიექტებს, სადაც შესაძლებელი იქნება გაიხსნას ფიზიკი გამჯანსაღებელი ჯგუფები.

ᲕᲐᲚᲘᲝ ᲠᲐᲮᲕᲘᲜᲯᲕᲘᲚᲘ,
თბილისის პირველი მაისის რაიონის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავჯდომარე.

რამდენიმე სტრიქონით:

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ მიუახლოდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ტრადიციული გათამაშება ფეხბურთში. ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საქართველოს ზოოტექნიკურ-საცვტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა. ეს სანტერესო შეხვედრა 27 სექტემბერს გაიმართება თბილისში არშიის სპორტკლუბის სტადიონზე. დასაწყისი 14 საათზე.

* * *

ᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝᲕᲐᲡᲝᲑᲐ „ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ სამტრედიის რაისაბჭოს საფეხბურთო პირველობაში 18 გუნდი მონაწილეობდა. ყველას ჯობა ლულაის სადაო ბიჭების გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნაბაკეთის მეზობლის სახელობის კოლმეურნეობისა და იახეთის საერთაშორისო სამშენებლო სამმართველოს გუნდები.

(„ლელას“ კორ.).

ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ: „ᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ“

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲠᲐᲢᲛᲝ ᲕᲙᲔᲢᲐᲕᲗ ᲙᲐᲠᲡ?

ამ ბოლო ხანებში ბევრი მოსაზრება გამოითქვა დიდმა მხადება სასკოლათაშორისო საცურაო კომპლექსის რაციონალურად გამოყენების თაობაზე. სადილებელთო ორგანოების დადგენილების საფუძველზე ყველა სპორტულ ბაზაზე, მიუხედავად იმისა, რომელ უწყებას ეკუთვნის ისინი, სავალდებულოა თვეში ორი საბედნიერო გამოუყოს ჯგუფებს. დიდმა მხადებ აუზზე კი ეს პრობლემა დღემდე ვერ გადაიჭრა. ამაზე სრულიად სამართლიანად იყო გამახვილებული ყურადღება წერილში „აუზის კარი ყველასთვის ღია

ბედნა, ჩვენთან ჯერ არ დაწერილა. ბაზების სრული დატვირთვით გამოუენება, თავისუფალ დროს საათრგნებელი ჯგუფების გახსნა მოსახერხებელ ხანდ უფრად შემოსავლიც გაზრდება. ეს საკითხი საყურადღებო პირველ ყოველა ამ ამიტომ, რომ მოსახერხებელი ფარო ფენების საშუალება მიეცემათ ამეცადინონ გამჯანსაღებელ ჯგუფებში, სპორტულ ბაზებს მოყვნენ შენახვის, თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების დამატებითი ხასიათები გაუჩნდებათ.

ჩვენს რაიონში უკვე შეიქმნა ფიზკულტურულ-სპორტული კომპლექსი, რომელიც ერთ სახურებში ერთიანებს ყველა სპორტულ და კულტურულ დანიშნულებას. ამიდე ჯაკენ ქალაქის განათლების სამმართველო მხარში ამოგვიდგება და დიდმა მხადებ საუცხო კომპლექსიც შეუერთდება იმ ობიექტებს, სადაც შესაძლებელი იქნება გაიხსნას ფიზიკი გამჯანსაღებელი ჯგუფები.

ᲕᲐᲚᲘᲝ ᲠᲐᲮᲕᲘᲜᲯᲕᲘᲚᲘ,
თბილისის პირველი მაისის რაიონის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავჯდომარე.

რესპუბლიკის ჩემპიონი

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელთა გუნდი

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელთა კოლექტივმა საქართველოს 1984 წლის ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

გათამაშების პირველ ეტაპზე მეტალურგებს ალმოსავლეთ ზონაში სეროზული მეტოქეობა გაუწია თელავის „კახეთმა", ამ ორმა გუნდმა მნიშვნელოვნად გაუხსრო ხვა კონკურენტებს, საბოლოოდ კი „მეტალურგმა" 58 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო „კახეთმა" 52 ქულით — მეორე.

საქართველოს ჩემპიონატის დებიულების შესახამისად ჩემპიონის წოდებისთვის რუსთავის „მეტალურგი" გადაწყვეტ მატჩში შეხვდა დასავლეთ ზონის გამარჯვებულს ვანის „ხულორს". მეტალურგებმა დიდი უპირატესობით თამაშეს, ანგარიშით 5:1 დაამარცხეს მეტოქე და ჩემპიონობაც მოიპოვეს.



რუსთაველთა კოლექტივის უფროსი მწვრთნელია სპორტის ოსტატობის კანდიდატი **თამაზ კოტიშვილი**. მან ფეხბურთის თამაში დაიწყო რუსთავში, აქვარ გუნდში გამოდიოდა 1962 წლიდან 1976 წლამდე, თამაშობდა ბათუმის „დინამოში", გორის „დილაში", შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა „მეტალურგს".



გუნდის მწვრთნელია **იასონ ალადაშვილი**. იგი საქართველოს სამგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, 1970 წელს თამაშობდა ქუთაისის „ტრუდოვიში", 1981 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.



გუნდის უფროსია **დავით შუბითიძე**. 1970-71 წლებში თამაშობდა რუსთავის „მეტალურგში", 1981 წლიდან კი გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

ნუგზარ ხაპრაღაშვილი

მეკარე.

დაიბადა 1961 წელს რუსთავში. სიმაღლე 176 სმ, წონა 72 კგ. ვარჯიში დაიწყო 1976 წელს რუსთავში ო. კონაშვილთან და კ. ნაზაროვთან. „მეტალურგში" თამაშობს 1977 წლიდან. „შრომითი რეზერვების" ცენტრალური სპორტული კლუბის ჩემპიონი (1978–1979 წწ.). საქართველოს 1979 და 1984 წლების ჩემპიონი.



გიორგი ხურცილავა

მცველი.

დაიბადა 1957 წელს მინგეჩაურში. სიმაღლე 178 სმ, წონა 70 კგ. 1969 წელს ვარჯიში დაიწყო რუსთავში ს. კასრელიშვილთან. 1972–74 წლებში თამაშობდა თბილისის „აგრანში" მ. მესხთან, 1980-81 წლებში გამოდიოდა რუსთავის „მეტალურგში" (მწვრთნელი ბ. გვენცაძე). 1982 წელს თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში", 1984 წლიდან — რუსთავის „მეტალურგში".



ვარლამ კილასონია

ნახევარმცველი.

დაიბადა 1967 წელს რუსთავში. სიმაღლე 173 სმ, წონა 70 კგ. ვარჯიში დაიწყო 1977 წელს კ. ნაზაროვთან. „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი. რუსთავის „მეტალურგში" გამოდის 1983 წლიდან.



მალხაზ ჟოხოვნელიძე

მცველი.

დაიბადა 1963 წელს რუსთავში. სიმაღლე 173 სმ, წონა 71 კგ. ვარჯიში დაიწყო 1975 წელს კ. ნაზაროვთან. „მეტალურგში" თამაშობს 1981 წლიდან.



გენადი მიგინეიშვილი

მცველი.

დაიბადა 1959 წელს რუსთავში. სიმაღლე 170 სმ, წონა 70 კგ. სხვადასხვა დროს ვარჯიშობდა მ. ჩაჩავას, გ. გოგოლაძისა და ბ. გვენცაძის ხელმძღვანელობით. რუსთავის „მეტალურგში" თამაშობს 1979 წლიდან, 1982–83 წლებში გამოდიოდა თბილისის „სპარტაკში". საქართველოს 1979 და 1984 წლების ჩემპიონი.

დავით ტუხაშვილი

ნახევარმცველი.

დაიბადა 1966 წელს რუსთავში. სიმაღლე 170 სმ, წონა 69 კგ. ვარჯიში დაიწყო 1976 წელს თ. დოდაშვილთან. „შრომითი რეზერვების" საკავშირო ნაკრების წევრი, რუსთავის „მეტალურგში" თამაშობს 1981 წლიდან.

ვლადიმერ ახობაძე

მცველი.

დაიბადა 1960 წელს თბილისში. სიმაღლე 188 სმ, წონა 81 კგ. ვარჯიში დაიწყო 1967 წელს თბილისის „ნორჩ დინამოელში" გ. გაგუასთან და ხ. აპრესიანთან. 1978-79 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში, იმავე წლების საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების წევრი. 1978 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი დუბლიორთა შორის. 1980-81 წლებში თამაშობდა ლანჩხუთის „გურიაში", შემდეგ — თბილისის „ლოკომოტივში". 1984 წლიდან — რუსთავის „მეტალურგში".



ავთრან ბეჟია

მცველი.

დაიბადა 1962 წელს რუსთავში. სიმაღლე 171 სმ, წონა 68 კგ. ვარჯიში დაიწყო 1976 წელს კ. ნაზაროვთან, თამაშობდა თბილისის „ვანიში". 1983 წლიდან გამოდის რუსთავის „მეტალურგში".

ლევან გოგუაძე

ნახევარმცველი.

დაიბადა 1954 წელს ბათუმში. სიმაღლე 179 სმ, წონა 79 კგ. ვარჯიში დაიწყო 1964 წელს ვ. მუსხარიძესთან. 1971 წლიდან თამაშობს რუსთავის „მეტალურგში", 1976-78 წლებში გამოდიოდა ლანჩხუთის „გურიაში". საქართველოს 1974, 1979, 1984 წლების ჩემპიონი.



ზრიდრონ აბაძე

ნახევარმცველი.

დაიბადა 1953 წელს რუსთავში. სიმაღლე 174 სმ, წონა 68 კგ. ვარჯიში დაიწყო 1968 წელს კ. ნაზაროვთან, რუსთავის „მეტალურგში" გამოდის 1972 წლიდან. საქართველოს 1979 და 1984 წლების ჩემპიონი.

გია ჟვანიაშვილი

ნახევარმცველი.

დაიბადა 1957 წელს თბილისში. სიმაღლე 179 სმ, წონა 67 კგ. ვარჯიში დაიწყო 1978 წელს თბილისის ახალგაზრდულ სკოლაში (მწვრთნელები ვ. ელოშვილი, ჯ. ჯანელიძე, ჯ. თანანაშვილი). 1975 წელს თამაშობდა თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში, 1976 წელს — სამტრედიის „ლოკომოტივში", 1979 წელს — გორის „დილაში", 1980 წლიდან — რუსთავის „მეტალურგში".

ედუარდ აპაქიანი

ნახევარმცველი.

დაიბადა 1962 წელს რუსთავში. სიმაღლე 177 სმ, წონა 71 კგ. 1975 წელს ვარჯიში დაიწყო კ. ნაზაროვთან. თამაშობდა ოდესის არმიელთა გუნდში, შემდეგ — რუსთავის „მეტალურგში".

მალხაზ ბერძენაძე

თავდამსხმელი.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი. დაიბადა 1959 წელს რუსთავში. სიმაღლე 176 სმ, წონა 74 კგ. ვარჯიში დაიწყო 1974 წელს ს. კასრელიშვილთან. 1976 წლიდან თამაშობდა რუსთავის „მეტალურგში", 1978–79 წლებში — თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში, 1980 წელს — ლანჩხუთის „გურიაში", 1981 წლიდან — რუსთავის „მეტალურგში".

პაატა თამაზაშვილი

თავდამსხმელი.

დაიბადა 1963 წელს თბილისში. სიმაღლე 176 სმ, წონა 74 კგ. ვარჯიში დაიწყო 1971 წელს თბილისის „ნორჩ დინამოელში" გ. გაგუასთან. 1983 წლიდან გამოდის რუსთავის „მეტალურგში".

ვიტალი სკრობა

თავდამსხმელი.

დაიბადა 1964 წელს რუსთავში. სიმაღლე 181 სმ, წონა 77 კგ. ვარჯიში დაიწყო 1976 წელს კ. ნაზაროვთან. 1982 წელს დაამთავრა ლენინგრადის სპორტტერრიტა. თამაშობდა ლენინგრადის „ზენიტისა" და ტაშკენტის „უზბეკისტანის" დუბლიორთა შემადგენლობებში. 1983 წლიდან გამოდის რუსთავის „მეტალურგში".

პაატა კიკვიძეშვილი

თავდამსხმელი.

დაიბადა 1961 წელს რუსთავში. სიმაღლე 170 სმ, წონა 67 კგ. ვარჯიში დაიწყო 1970 წელს კ. ნაზაროვთან და ი. პურჭულაძესთან. 1979–81 წლებში თამაშობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში, 1983 წლიდან გამოდის რუსთავის „მეტალურგში".

გაიმარჯვა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. ჯერჭერობით არ დამრეცხებულა მხოლოდ ალმა-ათის „დინამო“, თუმცა ერთი ქულა მასაც დაკარგული აქვს. მეოთხე მატჩი ლიდერმა ლენის დინამოელებთან გამართა. უაღრესად შეუპოვარ ბრძოლაში ალმაათელმა წყალბურთელებმა მინიმალური უპირატესობის მიღწევის — 7:6. როგორც ზედათ, „დინამოს“ სულ უფრო უკეთ გამარჯვება და ბრილად ანგარიშში მინიმალურ სხვაობას სჯერდება, რაც, სხვათა შორის, კარგად ჩანს გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებადანაც.

თბილისის „დინამოს“ დიდი ალბათობით ბაქოსა მატჩი ტაშკენტის „ნეფჩისთან“ და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა — 14:8. ჩვენს წყალბურთელებს პირველ ტურში ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი ლენინგრადის „ბალტიკასთან“. წარმატების შემთხვევაში თბილისელები მტკიცედ დაიკავებენ ადგილს სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე.

ამ დღეს „ბალტიკა“ კიევის „დინამოსთან“ თამაშობდა, ნეველისპირელები დამარცხდნენ ანგარიშით 5:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ს.	ჭ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (ალმა-ათა)	4	3	1	0	31-26	7
„დინ.“ (თბილისი)	4	2	1	1	33-27	5
„ბალტია“ (ლენ.)	4	2	0	2	33-25	4
„დინ.“ (კიევი)	4	2	0	2	31-26	4
„დინ.“ (ლვოვი)	4	2	0	2	33-29	4
„ნეფჩი“ (ტაშ.)	4	0	0	4	31-59	0

მოსკოვი. ამ ჯგუფში ჩემპიონატის დასაწყისი რაღვინე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. ყველაზე საკვირველი ცსკა ვმფ-ს წარუმატებელი სტარტი. საბჭოთა წყალბურთის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს ასეთ მოკლე დრობი მანძილზე შეხვედრა ჯერ არ წაუგია. მორიგ ტურში სამხედრო მეზღვაურები დამარცხდნენ „მოსკვიჩთან“ და თანაც ოთხი ბურთის სხვაობით — 7:11.

სხვა ორ მატჩში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა „დიდგორი“ ქუთაისიდან ჩამოიყვანეს „ლოკომოტივთან“ — 11:5, ხოლო მოსკოვის „დინამომ“ ჯობა კასპიის წითელროზოვანი ფლოტელების (ბაქო) სპორტსმენებს — 15:11.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ს.	ჭ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (მოსკოვი)	4	3	1	0	50-37	7
„უნივერ.“ (მოს.)	4	2	1	1	30-26	5
„ცსკა ვმფ“	4	2	0	2	51-41	4
„მოსკვიჩი“	4	2	0	2	34-29	4
„ლოკ.“ (ხარკოვი)	4	1	0	3	32-47	2
ქსც (ბაქო)	4	0	0	4	35-52	0

ლიდერებს უჭირთ

პოვარ ბრძოლაში ალმათელმა წყალბურთელებმა მინიმალური უპირატესობის მიღწევის — 7:6. როგორც ზედათ, „დინამოს“ სულ უფრო უჭირს გამარჯვება და ბრილად ანგარიშში მინიმალურ სხვაობას სჯერდება, რაც, სხვათა შორის, კარგად ჩანს გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებადანაც.

თბილისის „დინამოს“ დიდი ალბათობით ბაქოსა მატჩი ტაშკენტის „ნეფჩისთან“ და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა — 14:8. ჩვენს წყალბურთელებს პირველ ტურში ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი ლენინგრადის „ბალტიკასთან“. წარმატების შემთხვევაში თბილისელები მტკიცედ დაიკავებენ ადგილს სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე.

ამ დღეს „ბალტიკა“ კიევის „დინამოსთან“ თამაშობდა, ნეველისპირელები დამარცხდნენ ანგარიშით 5:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ს.	ჭ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (ალმა-ათა)	4	3	1	0	31-26	7
„დინ.“ (თბილისი)	4	2	1	1	33-27	5
„ბალტია“ (ლენ.)	4	2	0	2	33-25	4
„დინ.“ (კიევი)	4	2	0	2	31-26	4
„დინ.“ (ლვოვი)	4	2	0	2	33-29	4
„ნეფჩი“ (ტაშ.)	4	0	0	4	31-59	0

მოსკოვი. ამ ჯგუფში ჩემპიონატის დასაწყისი რაღვინე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. ყველაზე საკვირველი ცსკა ვმფ-ს წარუმატებელი სტარტი. საბჭოთა წყალბურთის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს ასეთ მოკლე დრობი მანძილზე შეხვედრა ჯერ არ წაუგია. მორიგ ტურში სამხედრო მეზღვაურები დამარცხდნენ „მოსკვიჩთან“ და თანაც ოთხი ბურთის სხვაობით — 7:11.

სხვა ორ მატჩში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა „დიდგორი“ ქუთაისიდან ჩამოიყვანეს „ლოკომოტივთან“ — 11:5, ხოლო მოსკოვის „დინამომ“ ჯობა კასპიის წითელროზოვანი ფლოტელების (ბაქო) სპორტსმენებს — 15:11.

ტექნიკური და აზრიანი მსვლელობა

თბილისში დამთავრდა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო შეჯიბრების მეორე ტურის მატჩები.

ბოლოსწინა დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს, მოსკოვის „დინამოს“ შეხვდნენ. ბაქოელი უცილობად მძაფრად და საინტერესოდ წარიმართა. პირველი ტაიმი „დინამომ“ მოიგო — 34:31.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი, შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე, დაწინაურდნენ—59:54. მოსკოველებმა სცადეს თამაშში გარდატეხის შეტანა, ორჯერ ანგარიშიც კლეს თანაბარი იყო (68:68, 70:70), მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 72:74.

ამ დღის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ბენზო) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 80:74 (46:28), სკიფი (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (დუშანბე) 95:73.

ტურნირის ბოლო დღეს მასპინძლები ტაშკენტის კალათბურთელებს შეხვდნენ. პირველი ტაიმი სკიფ-მა 37:31 მოიგო. ეს 20 წუთი გახსაკუთრებით აქტიურად ჩაბრძოლა ტორნაიღეგმ, რომელიც თამაშად შეიძლება თბილისის ჯგუფის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელოთ. იგი მწვავედ თამაშობს შეტევაში და ზუსტი სროლებით ბრძოლის ტემპსაც (ამ დღეს მან ყველაზე მეტი ქულა მოუტანა თავის გუნდს — 38).

მაგრამ ერთი, თუნდაც მაღალ კლასის კალათბურთელი არ ნიშნავს გუნდს. თბილისელებმა (ლომრია, სირაძე, ნოვიკოვა, ბუღლოშვილი, მარინე ნიკოლაშვილი) მეტრეს თავგანწირული და ინტენსიური ბრძოლა მთავარია კოლექტივი თამაში და უპირისპირეს, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი 72:61 — მასპინძლებმა მეტად საჭირო ქულა აიღეს.

უშედეგოთა ბრძოლით აღინიშნა ლიდერების — პეზზის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩი. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრის ბოლო წუთები. დინამოელებს შეეძლოთ ამ მატჩის მოგება, მაგრამ ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი მომენტი. „სპარტაკმა“ გაიმარჯვა — 73:71.

შეჯიბრების ბოლო დღის პირველი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“—შედარებით იოლად დამარცხა დუშანბის „სპარტაკი“ — 90:61 (38:31).

დამთავრდა თბილისის ტური, რომელშიც მასპინძლებმა აზრიანი და ტექნიკური თამაში აჩვენეს, მოიპოვეს ოთხი გამარჯვება და საგრძნობლად გამოსწორდა სატურნირო მდგომარეობა (მოსკოვის ჯგუფის მატჩებში მათ მხოლოდ 2 შეხვედრა მოგეს).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ქ.
„სპარტაკი“ (ბენზო)	10	10	10
„დინ.“ (მოსკოვი)	10	7	7
სპი (თბილისი)	10	6	6
სკიფი (ტაშენტი)	10	5	5
„ბურ“ (ლენინგრ.)	10	2	2
„სპარტაკი“ (დუშანბე)	10	0	0

„სპორტლოტო“

მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ შორიგი, 51-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-ში: 1 (კალაბურთი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 16 (ცხენოსნობა), 19 (სამხილოსპორტო რბოლები), 24 (ხელბურთი), 29 (სასტვინო სროლა).

„სპორტლოტო 5 36“-ში: 2 (ბიატლონი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 19 (სამხილოსპორტო რბოლები), 31 (ფარიკაობა).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

კალათბურთი

ალმა-ათა. აქ დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები. ტტტ (რიგა) — „დინამო“ (ლენინგრადი) — 84:69, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 102:86, „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) — 78:75.

მინსკი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ექვსი დანარჩენი კოლექტივი ბელორუსის დედაქალაქში ჩამოვიდა. ბ. შედეგებიც: ცსკა — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 81:52, „პორიზონტი“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 65:35, „ენბორგუმტისი“ (ვილნიუსი) — „ბანგა“ (კაუნასი) 92:68.

ხელბურთი

რუსთავი. ზაფხულიდან ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური კიევის „სპარტაკმა“ დაუმარცხებლად ჩაატარა. ბოლო მატჩში მან კრასნოდარის „სელმაზტექნიკას“ მოუგო 34:21 (17:11). ტურის საუკეთესო ბომბარდირად სვეტლანა ვიღონსი („სელმაზტექნიკა“) — 64 გოლი.

კრიკეტი

ჭალისუბანი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ახსოლუტური ჩემპიონატი კრიკეტში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 28 სპორტკლუბი, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ალეშანდრე ბაგუპინი (დინეკეცი), ვიაჩესლავ ბაყოლევი (ლენინგრადი), ალექსი ლუკოვი (ვოლეი) და სხვ. წინა წლებისაგან განსხვავებით ამ ახსოლუტურ ჩემპიონატში მონაწილეობენ მხოლოდ და ზოლოდ წინააღმდეგობის მიუვლით არ არიან დაყოფილნი. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ეკიპაჟმა სუდაკოვმა (დინატროვგრადი) — ელადიმერ დოლგუნოვ (ყირეი), დინამოურმა (მოსკოვი) — ანდრეი ილუოვიან (ხაბაროვსკი), სერგეი ალიოშინმა (ურფა) — ოლეგ მუშაევთან (ლენინგრადი). შეჯიბრება 29 დეკემბერს დამთავრდება.

თხილამურები

ნიჟნი-ტაგილი. დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სათხილამურო ხტომებში. გაიმარჯვა მხსნელმა ა. პეტუხოვემა, რომელმაც 419,9 ქულა მოაგროვა (ტრამპლინიდან გადახტა 82 და 86,5 მეტრზე, სათხილამურო რბოლაში აჩვენა 4:38,0). მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა ა. დუნდულაძემ — 418,1, მესამე — ლენინგრადელმა ა. სოკოლოვმა — 407,2.



ინფორმაცია

რინატ დასაევი — მსოფლიოს ნაკრებში

პოპულარულა ინგლისური ჟურნალი „უორლდ სოკერმა“ შეადგინა 1984 წლის მსოფლიო ნაკრები ფეხბურთში. ამ ნაკრებში მეკარედ დაასახელეს მოსკოვის „სპარტაკის“ და სსრ კავშირის ნაკრების წევრი რინატ დასაევი.

„უორლდ სოკერის“ მიერ შედგენილი 1984 წლის მსოფლიო ნაკრები ასეთია: მეკარე — **დასაევი** (სსრ კავშირი); მცველები — **ეირესი** (საფრანგეთი), **ოლანი** (დანია), **ბოსი** (საფრანგეთი); ნახევარმცველები — **ბიმოსანი** (ბრაზილია), **ბიმანა** (საფრანგეთი), **პლატინი** (საფრანგეთი), **მარადონა** (არგენტინა); თავდამსხმელები — **პ. პ. რუმენიგე** (გერ), **პიონი** (იტალია).

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ნაკრებში სულ ორი ფეხბურთელია სამხრეთ ამერიკიდან. თანაც, ახლა ორივე ევროპაში თამაშობს. ამდენად ჟურნალმა ნაკრები ამკარად ევროპული ტენდენციით შეადგინა. გარდა ამისა, სამაოდ „ორიგინალურია“ მოთამაშეთა განლაგებაც — 3 მცველი, 5 ნახევარმცველი და 2 თავდამსხმელი.

1984 წლის მსოფლიოს ნაკრები „უორლდ სოკერის“ ცნობილმა მომხმენელებმა ერიკ ბატმა შეადგინა. თავის კომენტარში იგი აღნიშნავს, რომ ფეხბურთის პოპულარობას ზოგიერთ ქვეყანაში ბოლო ხანს საგრძნობლად ეკლო და დღევანდელმა გამორჩეულმა ფეხბურთელებმა, რომელთა შორის იგი რინატ დასაევსაც ასახელებს, უნდა დაიბრუნონ ამ თამაშს მაყურებელი, დაიბრუნონ ახალგაზრდები.

ე. ბეტი წერს: „დასაევის თამაშში ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონის „უემბლიზე“, ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩში. ამ დღეს ინგლისელებს ოთხი თავდამსხმელი ჰყავდათ მინდორზე, ისინი ვერაფერს გახდნენ საბჭოთა მეკარის ბრწყინვალე თამაშის გამო. რინატ დასაევმა სხვა საერთაშორისო მატჩებშიც მაღალ ოსტატობა გამოავლინა“.



ფეხბურთი

აზიის თასი — საუდის არაბეთის ნაკრებს

სინგაპური. აზიის თასის VIII გათამაშებაში მონაწილე ერთეული ნაკრები გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. თითოეული ჯგუფში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები სანევარფინალურ მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. საუდის არაბეთის ფეხბურთელებმა შენლატების სერიით ანგარიშით 5:4 დაამარცხეს ირანელები (ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0), ხოლო ჩინეთის ნაკრებმა სძლია აზიის თასის მფლობელს, კუვეიტის ეროვნულ გუნდს — 1:0. ფინალურ შეხვედრაში საუდის არაბეთის ნაკრებმა მოუგო ჩინელებს (2:0) და საპატიო პრიზი მოიპოვა.

ქოფი ბეკენბოტის თანაშეძლე

დინო ძოფმა, რომელიც ერთხანს ტურინის „იუვენტუსის“ მეკარეთა მწვრთნელი იყო, ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამირომაც იგი იტალიის ნაკრების მწვრთნელის, ცნობილ ბეკენბოტის თანაშემწე ეწინება.

აველანჟის განცხადება

ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა, რომელიც ახლახანს სტუმრად იმყოფებოდა სინგაპურში, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალ კონტინენტზე განზრახულია რამდენიმე საინტერესო ღონისძიების მოწყობა. პრეზიდენტმა თქვა, რომ 1987 წელს ახიის რომელიმე ქვეყანაში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის. 1985 წლის 21 ივლისიდან 11 აგვისტომდე კი ჩინეთი უმასპინძლებს ჭაბუკთა (16 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატს.

კიევი ალარ ითამაშებს

35 წლის ასაკში აჭტიურ სპორტს გამოეთხოვა ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი კინი. მან 35-ჯერ თამაშა ესპანეთის ნაკრებში (გაიტანა 8 გოლი), 483 მატჩი ჩაატარა ხიხონის „სპორტინგისა“ და „ბარსელონის“ შემადგენლობაში, მონაწილეობა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში, ფლობდა თასების მფლობელთა თასს, იყო ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

11 იანვარს, „ნერუს თასზე“

11 იანვარს კალკუტაში დაიწყება „ჯავაჰარლალ ნერუს თასის“ მორიგი გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის (თასის ამჟამინდელი მფლობელი), ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების ფეხბურთელთა ნაკრება გუნდები.

„ოქროს ბურთი“ — მიშელ პლატინის

საფრანგეთის ყოველკვირეულმა გამოცემამ „ფრანს ფუტბოლმა“ თავისი მთავარი პრიზი „ოქროს ბურთი“ მიანიჭა საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანს მშვილ პლატინის. 1984 წლის სეზონის შედეგებით მეორე ადგილზე გავიდა პლატინის თანამემამულე ჟან ტიგანა, ხოლო მესამეზე — დანიელი პრებენ ლეკაერ-ლარსენი.

მ. პლატინი ზედიზედ მეორე წელია ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის თასს ეძებულობს. „ფრანს ფუტბოლის“ ახლახელ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 26 ფეხბურთის მმომხმელელმა. მ. პლატინიმ 128 ქულა დააგროვა 136 შესაძლებლიდან.

ურაგეი დაიმთხოვს

როგორც გფრ-ის სპორტული პრესა იუწყება, „ბიერნბერგის“ დირექტორატმა გუნდის შემდგენელობა ძალოვნებრძა მეკარე კარგუს, მინდვრის მთოამაშეებს ვილერას, კრელს, ვალეს, პორსმანსა და ლოტერმანს. ამის მიზეზია მათი უთანხმოება მწვრთნელ პოიერთან.

შარამპინის 200 გოლი

საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბების „ოსერისა“ და „შეცის“ კალენდარული მატჩი (2:1 „შეცის“ სასარგებლოდ) არ მოქცევინება მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენათა რიცხვს, მაგრამ „ოსერის“ პოლონელი თავდამსხმელისთვის — ანჯი შარამპინისთვის სა ეუბნეცო გამოდგა. სამი ის არის, რომ შარამპინა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ლიგაში გამოდის, ამ დღეს თავისი 91-ე გოლი გაიტანა. თუ ამას პოლონეთის ჩემპიონატებში გატანილ 109 ბურთსაც დავმატებთ, „საიუბილეო რიცხვს“ მივიღებთ. როგორც ვარშავის ჟურნალი „პილკა ნოგინა“ იუწყება, შარამპინს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ვლოძიმეჟ ლეტნანსკის, რომელმაც პოლონეთისა და ბელგიის ეროვნულ ჩემპიონატებში 243 ბურთი გაიტანა.

სპორტი მოსპარტაკი:
ჭეროდგისთვის — 23-00-00,
თბილისი, ფიფანის ქ. № 14.
ფოტოკორესპონდენტი — ნოდარ ხუ. „ლელა“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მარშუტი“ — 93-97-87, „მერიხი“ — 93-97-36

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. ბიეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07528